№ 93

ფასი 1 მან.

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 30 აპრილი 1919 წ.

**მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი**

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.**

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

ოთხშაბათს, აპრ. 30, გამოსამშვიდებელი სპექტაკლი და ბენეფისი ტ. ი. საბანეევასი

## ქ-ნი ბატერფლეი

ხუთშაბათს, მაისის პირველს, საზეიმო უქმის გამო, დავიდოვას მონაწილეობით **სევილიელი დალაქი.** როზინას პარტიას შეასრულებს მ. ს. დავიდოვა. შაბათს, მაისის 3, **ტაისი.** კვირას, მაისის 4 დილით **ჯამბაზები და ბალეტი.** საღამოს **მ. ხ. მარკოვის** ბენეფისი ალეშკოს მონაწილეობით **აფრიკელი ქალი.**

## დაიბეჭდა და იყიდება

## საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წლისა

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.

კრებულს დართული აქვს ქრონოლოგიური ნუსხა შიგ მოთავსებულ კანონებისა, რომელშიაც აღნიშნულია დრო კანონის მიღებისა და გამოქვეყნებისა, და აგრეთვე ვრცელი საგნობრივი სარჩევი. შეიცავს 300-მდე გვერდს დიდის ფორმატისას.

წიგნი ღირს—30 მან., სხვაგან გაგზავნით—33 მან. საწყობი იმყოფება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, სასამ. დაწეს. შენობაში, სასამართლოს ქუჩაზედ.

ამ დღეებში დარიგდება გასასყიდად **„თამასუქის წესდება“**, თარგმნილი და შედგენილი ა. მ. ახნაზაროვის მიერ. წესდებას დართული აქვს თამასუქის სამაგალითო ნიმუშები, საგნობრივი სარჩევი და რუსული და უცხო ქვეყნის სათამასუქო სიტყვების ლექსიკონი.

714. 6—4.

## თბილ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭო აცხადებს,

რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებად და კანდიდატებად არჩეულ იქნენ: წევრებათ: 1) ამირაჯიბი კონსტანტინე, 2) ალპაშოვი დავით, 3) ბერელაშვილი ადამ, 4) ბერელაშვილი ვასილ, 5) ბენდუქიძე სპირიდონ, 6) გაბაშვილი ნიკოლოზ, 7) გველესიანი იოსებ, 8) გოთუა პართენ, 9) დათეშიძე რაჟდენ, 10) ზურაბიშვილი ვასილ, 11) კვეზერელი კოპაძე ივანე, 12) კურდღელაშვილი რომან, 13) კორაშვილი კოტე, 14) კილასონია ნიკოლოზ, 15) ლისინოვი ნიკოლოზ, 16) ლორთქიფანიძე იასონ, 17) ლაღიძე მიტროფანე, 18) სარქისოვი კონსტანტინე, 19) სულუხია მოსე. 20) ტყავაძე კოტე, 21) უხურგუნაშვილი რაჟდენ, 22) ფოლაქაშვილი სვიმონ, 23) ქავთარაძე ანდრია, 24) ქიტიაშვილი ზაქარია, 25) ყუფარაძე ბარნაბა, 26) ხოშტარია აკაკი, 27) ჯაბადარი ალექსანდრე, 28) ჯაყელი ნიკოლოზ, 29) ჯალიაშვილი რაჟდენ. კანდიდატებად: 1) ბასილაძე ტროფიმე, 2) გეჩეჩილაძე მელიტონ, 3) გორელაშვილი რაფაელი, 4) ეგნატიშვილი ალექსანდრე, 5) ესაიანცი ტიგრანი, 6) მთავრიშვილი თომა, 7) სარაჯიშვილი ი. პ. 8) სიხარულიძე ნოე, 9) ძეგველოვი ალექსანდრე, 10) ჯანელიძე გიორგი.

**პირველი ყრილობა პალატის წევრთა**

დანიშნულია 1919 წ. 4 მაისს, დილის 11 საათზე ქართ. ვაჭარ-მრეწ. კავშირის ბინაზე. ფრეილინის ქ. № 11. განსახილველი საგნები: 1) მოხსენებანი; 2) ხარჯთ-აღრიცხვა; 3) არჩევა პალატის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა. თანახმად პალატის წესდების მე-37 §-ისა. საზოგადო კრება კანონიერია თუ მას დაესწრო პალატის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა. თუ კრებას ორი მესამედი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება ოცდა ოთხი საათის შემდეგ და იგი ითვლება კანონიერათ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

748 3—3

**ოფიციალური განყოფილება**

## განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.**

5 აპრილი, 1919 წ.

№ 19.

**გამწესებულნი არიან:** მოქალაქე ელისაბედ ინაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მე-6 ხარ. დროებით დაქირავებით ტფილისის ტელეფონის ქსელზედ. ყოფილი ფოსტალიონი ტყვიბულის ფოსტის განყოფილების ილია ყურაშვილი ხელ ახლად ფოსტალიონათ ჯამაგირზე 420 მან. წელიწადში, სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის სამტრ. კანტ. მე-6 ხარ. პორფილე ანდრიაძე ხელ ახლად ზედამხედველათ დაბალ ჯამაგირზედ თიონეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ახალციხის მესამე ხარ. სიმონ ერემოვი ხელ-ახლად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ იმავე ხარისხით იმავე კანტორაში. სულ ყველანი ოთხავე 1 აპრილიდან 1919 წ.

**დანიშნულნი არიან:** შულავრის ფოსტა-ტელეგრაფის 6 კლასის უფროსი იოსებ ბეროზაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მე-4 ხარ. ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები მე 4 ხარ. ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ნიკოლოზ მიქაძე სამიქაოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარ. სამუელ კოპალიანი აკეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მე 5 ხარ. მოხელე ვასილ ზინოვიევს დაენიშნა დამატებითი ჯამაგირი სასწრაფო მანქანაზე მუშაობისთვის. ბეროზაშვილი, მიქაძე, კოპალიანი 1 აპრილიდან ზინოვიევს კი 1 იანვრიდან 1919 წ.

**გადაყვანილი არიან:** ფოსტალიონი თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა მიხეილ ბაგაევი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის: ქუთაისის მე-5 ხარ. გრიგოლ ჯაბუკიანი. ოდიშის მე-6 ხარ., გრიგოლ ფირალოვი, ჯულფის მე-6 ხარ. მოხელის ვალდებულების აღმასრულებელი ვლადიმერ ჯიჯიეიშვილი, ტფილისის ფოსტის კანტორის 1 ხარ. სიმონ კაშია ზედამხედველის თანამდებობის ამ რულებელი ფოთის ტელეფონის ქსელისა ევგენი სუდაძე იმავე წოდებებით: ბაგაევი წნორის წყალში, ფირალოვი ახალქალაქში, ჯიჯიეიშვილი ფოთში, კაშია ქუთაისში, სუდაძე აწყურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში. ჯაბუკიანი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. ფირალოვი 1 იანვრიდან, ბაგაევი, ჯაბუკიანი, ჯიჯიეიშვილი, კაშია და სუდაძე 1 აპრილიდან 1919 წ. ჯაბუკიანი, კაშია, ჯიჯიეიშვილი თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილი არიან სამსახურიდან:** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები მე 5 ხარ. ფოთის ტელეფონის ქსელისა ანნა ცინცაძე, ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-4 ხარ. ანნა კვალიევისა, ზედამხედველი მაღალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა იანა ვრუბელი, კვალიევისა 12 დეკემბრიდან 1918 წ. ვრუბელი 6 მარტიდან, ცინცაძე 1 აპრილიდან 1919 წ. ცინცაძე, კვალიევისა და ვრუბელი თანახმად თხოვნისა.

**გამორიცხული არიან სამსახურიდან:** ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის კანტორის გაბრიელ სირაძე, რუბენ ჰელიძე, ნესტორ ქვითათიანი სირაძე და ჰელიძე სამსახურში 4 თვის კანონიერ ვადაში გამოუცხადებლობის გამო 21 ენკენისთვიდან 1918 წ., ქვითათიანი 22 მარტიდან 1919 წ., სიკვდილის გამო.

ოლქის უფროსი მგელაძე.

—

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ საბაჟოხი.**

**ინიშნებიან მთავარ საბაჟოში:** თავისუფალი მოხელე-იმედაშვილი-საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ; ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურს დამთავრებული გ. კანდელაკი მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად (იგივე რეგისტრატორად); ფოთის საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწე პოდკოლზინა მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ფოთის საბაჟოში:** მთავარ საბაჟოს საწყობის სედამხედველის უმცროსი თანაშემწე თვალთვაძე ფოთის საბაჟოს ბუღალტრის უმცროს თანაშემწედ 8 აპრილიდან სამსახურის სარგებლობისათვის. თავისუფალი მოხელე იმავე საბაჟოსი რადეცკაია ბუღალტრის უმცროს თანაშემწედ.

**ნატანების საბაჟოში:** ბათუმის ოლქის კომისარიატის საქმის მწარმოებლის თანაშემწე დ. ჭანტურიშვილი ბუღალტრის თანაშემწედ.

**ირიცხებიან სამსახურიდან:** თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი გიორგი გერსამია თანახმად მისი თხოვნისა 18 აპრილიდან 1919 წ. ყველა ზემომოხსენებულნი პირნი დანიშნულნი არიან ხსენებულ თანამდებობაზე 1 აპრილიდან ამა 1919 წლისა გარდა თვალთვაძისა.

გამგე მიქაძე.

**არა ოფიციალური განყოფილება**

## სახალხო განათლების სამინისტროში

**უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარ-გამგის გ. ნათიძის წასვლა.**

თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონისა (სახელ. სამსახურის შეუთავსებლობის შესახებ). უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარ-გამგე ბ-ნი გ. ნათაძე, მისივე თხოვნით, 29 ამა აპრილიდან განთავისუფლებულ იქმნა თავის თანამდებობიდან. ამ მოკლე ხანში მის ადგილას სამინისტრო დაამტკიცებს სხვას.

**ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის რევიზია.**

ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ინსპექტორს ბ. მ. ზანდუკელს განათლების სამინისტროსაგან დაევალა რევიზია მოახდინოს ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლისა და თავისი დასკვნა მოახსენოს სამინისტროს აგრეთვე იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილობრივ ჰქონდა ადგილი.

**მასწავლებელთათვის საქართველოს რესპუბლიკის გარეშე ნამსახური დღეების ჩათვლის შესახებ.**

განათლების სამინისტროში მრავალი თხოვნები შემოდის მასწავლებელთაგან, რომელშიც ისინი ითხოვენ იმ წლების სამსახურში ჩათვლას, ხუთ წლის უფლების და პენსიის მისაღებათ, რომელიც მათ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის გარეშე უმსახურიათ.

სამინისტრო ჯერ-ჯერობით ასეთ თხოვნებს არ იხილავს, რადგან საერთოდ ხსენებული საკითხი გადაწყვეტილი არ არის. სამინისტრო ამის შესახებ იმუშავებს სათანადო წესს, რომელსაც სათანადო ორგანოებს გადასცემს განსახილველად და დასამტკიცებლად.

**საშუალო სასწავლებელთა რევიზიის შესახებ.**

განათლების სამინისტროს მიერ ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ ს. დანელიას დაევალა რევიზია გორის, ხაშურის, სენაკის, ზესტაფონის, სამტრედიის და ზუგდიდის საშუალო და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებისა. აგრეთვე ქუთაისში სამაზ-

რო ერობის გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნ ქ. სულაქველიძეს უკვე გაეგზავნა სათანადო მიწერილობა სამინისტროსი ქუთაისის საშუალო და უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლების რევიზიის შესახებ.

სოხუმის საოსტატო სემინარიის დირექტორს ბ-ნ გეორგობიანს დაევალა რევიზია ოჩემჩირის სავაჟო გიმნაზიისა და აგრეთვე გამორკვევა იმ ინციდენტისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხსენებულ სასწავლებელში.

### საყოველთაო პირველ დაწყებითი სავალდებულო უფასო სწავლის შემოღების შესახებ.

განათლების სამინისტრომ მიმართა თხოვნით მიწათ-მოქმედების სამინისტროს, შეატყობინოს მას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა რაოდენობის რიცხვი იმ სამეურნეო აღწერის მიხედვით, რომელიც მოხდა 1917 წელს. განათლების სამინისტროსთვის ეს ცნობა საჭიროა საყოველთაო პირველდაწყებითი უფასო და სავალდებულო სწავლის შემოსაღებათ.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### საჯარო შეჯიბრება.

28 აპრილს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით სამინისტროს შენობაში მოხდა მეორედ საჯარო შეჯიბრება (პერეტორჟკა) ნარზანის, ესენტუკის და სხვ. წყლებზე. განმეორებითი ვაჭრობაში ეს წყლები დარჩა ბ. დ. ე. ქებაძეს, ვინაიდან 3 მ. და 71 კ. სხვამ არვინ არ შეაძლია.

### საჯარო ვაჭრობა აბანოებზე.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით დღეს, 30 აპრილს, 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფილისის სახელმწიფო აბანოების იჯარით გაცემის შესახებ. იჯარით გაიცემა 14 აბანო: 1) ყოფილი ორბელიანთა, 2) ყოფილი ირაკლის, 3) ყოფილი ბებუთოვ, 4) ყ. ბებუთოვის, შალამოვის და გევორქოვის 5) ყოფილ მირზოევის, 6) ყოფილი სუმბათოვების, 7) ყოფილია ოლუთინსკის და ხერხეულიძის, 8) ყოფილი წოვიანოვის, 9) ყოფილი „ფანტაზია“, 10) ყოფილ მურსაკოლოვის, 11) ყოფილი თამამშევის, 12) ყოფილი იედიგაროვის, 13) „გოგილო“ და 14) ყოფილი ჩითახოვის. ვაჭრობა დანიშნულია მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების ნაწილში (პეტრე დიდის ქუჩა № 22. მესამე სართულში) თხოვნები ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზე მიიღება დღესაც 12 საათამდე დახურულ კონვერტებში.

## მიმართვა

ამითი პატივი გვაქვს ვაუწყოთ საზოგადოებას და დაწესებულებებს, რომ ქ. ბათუმში ქართველთა ნაციონალურ საბჭოს მიერ დაარსდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს.

მოგვაწოდეთ ცნობები, ვის რა საქონელი აინტერესებს, ვის რა საქონელი აქვს, ან რა საქონელზე სურს გადაცვალოს. ვინაიდან ვაჭრებს და განსაკუთრებით, გემებს დიდ ხანს ცდა არ შეუძლიათ, კომიტეტი თვლის საუკეთესოთ საქონელი იქონიოს ბათუმის საწყობში. ვის რა საქონელი აქვს გზავნეთ ბათუმის საწყობში ფაქტურით.

ბათუმის საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკო ანტონის ძე ალნიაშვილი**.

მდივანი **სერგო ანტონის ძე ყუფარაძე**.

კომიტეტის წევრი **ვიქტორ იაგორის ძე მედია**.

მისამართი: ბათუმი, საკონსულო.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

## მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები.

ტფილისის მეაბრეშუმეობის სადგურთან ორ მაისიდან გაიხსნება მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები.

კურსებზე სწავლა გაგრძელდება 6 კვირას.

ლექციების კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა იწარმოებს 9—2$^1/_2$ საათამდე.

## იურიდიულ საზოგადოებაში

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება დანიშნულია 3-მაისს, შაბათს საღამოს 7 საათზე სამოსამართლო პალატის შენობაში, სამოსამართლო ქუჩაზე. განსახილველი საგნებია: 1. საბჭოს მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის და მის პერსპექტივების შესახებ. 2. სასამართლოს დამოუკიდებლობა 3. იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია (მოხსენებას გააკეთებს ნაფიცი ვექილი გ. ჟურდანია). 4. მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების შესახებ და სხვა.

აცხადებს რა ამას, საბჭო მოუწოდებს ყველა წევრს დაესწროს კრებას და მოაგონებს ყველა არა წევრთ ქართველ იურისტებს მათ ზნეობრივ მოვალეობის შესახებ ჩაეწერონ საზოგადოების წევრებათ და ხელი შეუწყონ ახალგაზრდა საზოგადოების აღორძინებას.

## ქართველების გამოქცევა ნოვოროსიიდან.

ნოვოროსიიდან ჩამოვიდა საქართველოს კონსული. მოხალისეებს წინადადება მიუციათ ნოვოროსიის ქართველებისთვის, რომ მათ სამ დღეში დასტოვონ ქალაქი.

მოხალისეების ტრანსპორტი, „ქსენია“ დალუპულა ოდესის ახლო.

## მუნიციპალური ცხოვრება

ორშაბათს, 28 აპრილს, ბ-ნ ალ. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა სხდომა შესდგა.

დღიურ წეს რიგის თანახმად პირველათ საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება ტფილისში სანიტარული გადასახადის შემოღების შესახებ. მოხსენებამ კამათი გამოიწვია და რამდენიმე მცირე შესწორება შეტანილ იქმნა ამ გადასახადის დებულების პროექტში. მაგალითად მიღებულ იქნა ხმოსან კ. ნ. აბხაზის შეტანილი დამატება, რომ ეს გადასახადი ერთდროულია. საბჭომ უარყო დებულებიდან დაპატიმრების უფლების გამორიცხვა, რის შესახებ წინადადებას აძლევდა ხმოსანი გ. ი გველესიანი. გადასახადის რაოდენობამ კამათი არ გამოიწვია და ერთ ხმით იყო მიღებული. საერთოთ გამგეობის მოხსენება საბჭომ მოიწონა და გამგეობას დასტური მისცა ამ დებულების დამტკიცების შესახებ, მან მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობა აღძრას.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება წყალზე ფასის მომატების შესახებ. როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ გამგეობის წინადადებით წყლის ფასი გადიდებულ უნდა იქნეს 5 კაპეკამდე ვედრო.

ამის შესახებ ხმ. პ. ა. გოთუამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. ხმოსანს საჭიროდ მიაჩნია, როდესაც წყალზე ფასს 25-ჯერ ვადიდებთ, მოვალენი ვართ, რომ ეხლავე შევუდგეთ ახალი წყალსადენის მოწყობასაო, რომლითაც სუფთა წყალი მილებში თავის ძალით მომდინარეობდეს, თორემ მანქანებისთვის სითბოს ყიდვას ქალაქი ვერ აუვა და რამდენიც უნდა მოუმატოს წყალს ფასი, წყალსადენი მაინც დეფიციტს მისცემსო. ახალი წყალსადენის მოწყობის შესახებ გამგეობას საკმარისი შემუშავებული მასალა აქვს და დროა ამ საქმეს მოძრაობა მიეცეს. ამის გარდა ხმოსანი ამბობს, რომ ასეთ მომატებულ ფასს სახლის პატრონები, ნამეტნავათ განაპირა უბნებში ვერ შესძლებენ გადახადს და ამიტომ წყლის ფასი უნდა განაწილებულ იყოს სახლის პატრონებისა და მდგმურების შორის.

ხმ. კ. ნ. აფხაზი ამბობს, რომ გამგეობამ ჯერ უნდა დააჩქაროს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა, რათა საბჭომ იხილოს ყველა ხარჯების რაოდენობა. ზაფხულამდე ვედრო წყალზე ფასის მომატება ქალაქს სამ მილიონამდე მომატებას მისცემს და რაზე უნდა დაიხარჯოს ეს მოგება ეს საბჭომ არ იცის. ამიტომ ხმოსანს საკმაოდ მიაჩნია წყლის ფასის გადიდება 3 კაპეიკამდე დროებით, სანამ საბჭო განიხილავს ქალაქის ხარჯ-აღრიცხვას. ამასთანავე წყლის ფასი უნდა გადიხადონ ყველა მის მხმარებელმა და არა მარტო სახლის პატრონებმა.

ხმ. ივ. გომართელი იცავს გამგეობის მოხსენებას.

კამათის შემდეგ საბჭო ადასტურებს წყალზე ფასის გადიდებას 5 კაპ.

გამგეობის მოხსენება ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში 150 საწოლის შესანახად სამი თვის ვადით 367,638 მან. გადადების შესახებ საბჭომ საფინანსო კომისიას გადასცა და სანამ კი გამგეობას უფლება მისცა ამ საავადმყოფოში თითო ავადმყოფის შესანახად დღიურად 20 მან. დახარჯვისა.

პარტახტიან სახადით გარდაცვალებულ ექიმის ციციშვილის მეუღლის ერთდროული დახმარება დაენიშნა 15,000 მან., გამოურიცხველად 1,500 მან.

ავადმყოფობით სამსახურიდან გასულს ქალაქის სადეზინფექციო კამერის გამგეს ექიმ ტ. ი. ხარაზოვს საბჭომ ნახევარ წლის ჯამაგირი ერთდროულად დასახმარებლად დაუნიშნა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა შემოტანილი ხმ. ა. ზურაბოვის მიერ შეკითხვა ქალაქის მოსამსახურეთა ასობით სამსახურიდან სალიკვიდაციო ფულის მიცემით დათხოვნის შესახებ. ამ შეკითხვისა გამო მსჯელობა გადიდო შემდეგ ორშაბათამდე

ამის შემდეგ არჩევნები მოხდა.

ქალაქის გამგეობის მეხუთე წევრათ ერთხმივ არჩეულ იქნა გიორგი შოთაძე, ფინანსთა სამინისტროს დირექტორის თანაშემწე.

ქალაქის მილიციის უფროსათ ბ. ა. პ. ურუშაძის ალაგას ერთხმივ არჩეულ იქნა ბ. ვლადიმერ სულაქველიძე, ყოფილი ქუთაისის კომისარი.

ქალაქის ლომბარდის გამგეთ ბ. გ. გ. კაფიევის ალაგას არჩეულ იქნა ბ. სამსონ ფულერია ყოფილი ბათომის ლომბარდის გამგე.

დამფასებლებათ არჩეულ იქნენ მ. გ. გიორგი სადაგაშვილი და სტეფანე დანდუროვი.

აუქციონისტებათ არჩეულ იქნენ ბ. ბ. აგ. ზურაბიანი და კალ. თედორაძე

ღამის 11$^1/_2$ საათზე სხდომა დაიხურა.

### ფულის დატყუების გამო.

ადოლფ გერცმა ქალაქის მოურავს ბენია ჩხიკვიშვილს თხოვნა მიართვა იმ 50 მან. დაბრუნების შესახებ, რომელიც მისგან მე 12 კომისარიატის უფროს მილიციონერს გაგუას დატყუებით გამოურთმევია, ვითომ ბრალდებულის სახელზე თხოვნის გადასაცემათ საჭირო სახარჯოთ, და მის თხოვნა ბრალდებულისთვის კი არ წარუდგენია. ამ გვარ ფულის დატყუებით გამორთმევაში ქალაქის მოურავი ხედავს ბოროტ მოქმედებას და ამიტომ მილიციის უფროსს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ უფროსი მილიციონერი გაგუა დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან და დაპატიმრებულ იქმნეს სამის თვით, რის შესახებ ეცნობოს სასამართლოს ბრალმდებელს, 50 მან. კი პატრონს დაუბრუნდეს.

## სანიტარული გადასახადის შემოღების შესახებ

ამ საკითხზე ქალაქის გამგეობამ დაუგზავნა საბჭოს ხმოსანთ შემდეგი მოხსენება, რომელიც საბჭოს განსახილველად წესრიგშია მოქცეული.

უკანასკნელ წლებში ქალაქი ტფილისი გადაიქცა გადამდებ სნეულებათა ბუდით, ისეთ ადგილად, საიდანაც მთელს სახელმწიფოს ედება ეპიდემია. წარსულ ზაფხულს ქალაქში მძვინვარებდა ხოლერა, რომელმაც ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მის მაგვარი ტფილისს არ ახსოვს. ზამთარში პარტახტიანმა სახადმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა და ამ სენის ეპიდემია მოედო მთელს საქართველოს. ეპიდემიის გავრცელებას ხელს უწყობს ქალაქის აუტანელი სანიტარული მდგომარეობა. ქალაქს არა აქვს კარგი და საკმარისი წყალი, წყალს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სისაღეში. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სისაღისთვის სუფთა და კარგ ჰაერს, კარგი ჰაერისათვის კი საჭიროა მოკირწყლული ქუჩები, მათი სისტემატიური დახვეტა დასუფთავება, მათი მორწყვა და სხვა. ქალაქის ქუჩები კი პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არავინ ჰგვის და არავინ რწყავს.

ყველა ზემო ჩამოთვლილ ნაკლულოვანებათა მიზეზებად უნდა ჩაითვალოს ქალაქის კასის სიცალიერე. ქალაქს არ შემოსდის იმოდენა შემოსავალი, რომ სასურველი სანიტარული მდგომარეობა დაიცვას: მიაწოდოს ყველას სალი და საკმაო წყალი და ამით დაიცვას სხვა და სხვა სენისაგან. ერთად-ერთ საშუალებად, რომ ააშოროს ქალაქის მცხოვრებთ მოსალოდნელი უბედურება, ქალაქის გამგეობა სთვლის, რომ თვით მცხოვრებლებმა მიიღონ მონაწილეობა ამ უბედურებასთან ბრძოლაში და დაეხმარონ ქალაქის გამგეობას მატერიალურად, ამისთვის ქალაქის გამგეობამ განიზრახა შემოიღოს სპეციალური სასანიტარო გადასახადი იმ პირობებით, რომელნიც აღნიშნულ არიან ქვემოთ მოყვანილ პროექტში.

1. ქ. ტფილისის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საბოლოოდ ეპიდემიურ ავადმყოფობასთან საბრძოლველად შემოღებული იქმნას საგანგებო სანიტარულ-ეპიდემიური გადასახადი ტფილისის საქალაქო მართველობის სასარგებლოდ.

2. ეს გადასახადი ევალებათ ყველა იმ პირთ, ვინც ტფილისში ცხოვრობს და მიმდინარე 1919 წლის აპრილში რაიმე შემოსავალი ჰქონია, სამსახურიდგან, თუ სხვა ქონებიდან, გარდა იმ პირთა, რომელნიც უცხო ქვეყნის ჯარებში, ან დიპლომატიურ მისიებში მსახურობენ, და აგრეთვე იმ პირთა, რომელთა შემოსავალი 1919 წ. აპრილში არ აღემატება 700 მ.

3. ეს გადასახადი აღრიცხულია აპრილის შემოსავლის მიხედვით ასე:

| | | |
|---|---|---|
| 700— 950 მ. | 1% | 7— 9 მ. |
| 951— 1200 „ | 2% | 19— 24 „ |
| 1201— 1500 „ | 3% | 36— 45 „ |
| 1500— 2000 „ | 5% | 75— 100 „ |
| 2001— 2500 „ | 7% | 140— 175 „ |
| 2501— 3000 „ | 9% | 225— 270 „ |
| 3001— 4000 „ | 12% | 360— 480 „ |
| 4001— 5000 „ | 15% | 600— 750 „ |
| 5001— 6000 „ | 18% | 900—1080 „ |
| 6001— 8000 „ | 22% | 1320—1960 „ |
| 8001—10000 „ | 26% | 2080—2600 „ |
| 10000—12000 „ | 30% | 3000—3600 „ |

12000 მანეთზე მეტ შემოსავალს უნდა გადახდეს 3600 მ. დამატებით 25%-ისა თვითეულათ ას მანეთზე

1. ვისაც გადასახადი ექნება შეწერილი, ერთი კვირის განმავლობაში, ამ დებულების გაზეთებში გამოქვეყნებიდან, მოვალენი არიან თავის უბნის ხარჯთამკრების ბიუროში შეიტანონ ცნობები ამ 1919 წლის აპრილის შემოსავლის რაოდენობის შესახებ.

5. უბნების ბიუროები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში წარადგინონ აღნიშნული ცნობები ტფილისის ქალაქის გამგეობაში, თავისი დასკვნით მოხარჯის შემოსავლის სინამდვილის შესახებ.

6. ცენტრალური ხარჯთ-ამკრეფი ბიურო, წარმოდგენილი ცნობების განხილვის და შემოსავლის რაოდენობის სინამდვილის აღნიშვნის შემდეგ, ადგენს ერთდროულ გადასახადის რაოდენობას ქალაქის სასარგებლოდ და ამ საქმეში ხელმძღვანელობს, როგორც საზოგადო სახელმწიფო გადასახადთა დებულებით, ისე ამ დადგენილებით, რის შემდეგ გადასახადის მოვალეთ ეგზავნებათ გადასახადის ფურცლები.

7. ფურცლების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში ეს გადასახადი შემოტანილი უნდა იყოს.

8. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, აგრეთვე ქარხნები, მოვალენი არიან ჯამაგირის უახლეს დარიგების დროს მოსამსახურეთაგან ერთბაშათ დაიჭირონ ეს გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ. ამგვარად დაჭერილ გადასახადში ეძლევათ დაწესებული ბარათი-კვიტანცია. გადახდილი ფული ეგზავნება ქალაქის გამგეობის გადამხდელთა ცალკე სიით, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს მათი სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი და გადასახადის რაოდენობა.

9. უბნის აგენტები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ მას, რომ შემოსავლის შესახებ ცნობა—განცხადებები თავის დროზე იყვეს წარმოდგენილი და თითონ გადასახადიც თავის დროზე გადახდილი, რისთვისაც გადამხდელებს უნდა მოეთხოვოთ კვიტანციების წარდგენა გადახდის შეტანის შესახებ.

10. სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ ქალაქის გამგეობას გადასახადების აკრებაში: საჭირო ცნობების მიცემით, მოსამსახურეთაგან გადასახადის შეკრებით და სხვა.

11. ის პირნი, რომელნიც ნამდვილად არ აჩვენებენ შემოსავლის რაოდენობას, ან თავის დროზე არ შეიტანენ გადასახადს, ერთი ხუთად გადიხდიან ჯარიმას და ამის გარდა დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით, როგორც დატუსაღებით, არა უმეტეს სამი თვისა, აგრეთვე ჯარიმის დადებით არა უმეტეს 500 მანეთამდე.

12. გადასული გადასახადი იხდევინება უდავოდ, იმავე წესით, რომელიც არსებობს მთავრობის დაწესებულებათა და პირთა უდავო გადასახადთა დასაკმაყოფილებლად.

13. ამ გადასახადის გარდა, ეპიდემიურ ავადმყოფობის დროს, შემოიღება დამატებითი გადასახადი, ქალაქის სასარგებლოთ, რისთვისაც სასტუმროებში, პირველი ხარისხის რესტორანებში, ყავახანებში ანგარიშების საერთო ჯამებზე ეხდევინებათ 10%, ხოლო სხვა სატრაქტირო დაწესებულებებში 5%.

14. ეს გადასახადი ეხდევინება ანგარიშებზე ქალაქის მარკების დაკვრით.

15. სატრაქტირო დაწესებულების პატრონები, რომლებიც არ გადაახდევინებენ ქალაქის სასარგებლოთ ამ გადასახადს, ან გადაახდევინებენ დაწესებულობაზე ნაკლებათ, დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით და დაჯარიმდებიან 5000 მანეთამდის ან ციხეში ჩასმით 3 თვემდე.

16. ქალაქის გამგეობას ნება ეძლევა ამ დებულების გასაფართოვებლად გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები.

17. ამ გადასახადების შესახებ საჩივრებისა და თხოვნების განსახილველათ არსდება ქალაქის გამგეობასთან ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან: ქალაქის გამგეობის ერთი წევრი, საბჭოს სამი ხმოსანი საბჭოს მიერ ამორჩეული, ხარჯთამკრებ ბიუროს გამგე და ქალაქის კონტროლის წარმომადგენელი.

ამ მოხსენებას გამგეობა წარმოუდგენს ქალაქის საბჭოს განსახილველათ, ამჟამად

ლობს ამის მიღებას. ამასთანავე გამგეობა სთხოვს საბჭოს, რომ მან მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა სათანადო კომისიის გამოსაცემათ, როგორც აღნიშნულ გადასახადების შემოსაღებათ, ისე ქალაქის გამგეობისათვის ნებართვის მისაცემათ, რომ უკანასკნელს შეეძლოს ადმინისტრატიული წესით დაჯარიმება თანახმად 11 ღ 15 ამ დებულების მუხლებისა.

## დახმარება მესხეთ-ჯავახეთს

დღეს აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოების საშუალებით ამიერ-კავკასიის ბანკში თქვენთვის გადმოვგზავნე ჩემდამი რწმუნებულ სასამართლოს მოსამსახურეთა შორის შეკრებილი მესხეთ-ჯავახეთში დაზარალებულ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სასარგებლოთ ხუთასი მანეთი, რომელიც შემოსწირეს: ილია ჰყონიამ, გიორგი თურქიამ, ნინო თურქიამ და ვერა ტულუშმა ას-ასი მანეთი თითოულმა, ბარნაბა ჯაიანმა და ბარნაბა ჰყონიამ-ხუთ-ხუთი თუმანი თითომ, სულ 500 მან.

ფოთის მომრიგებელი მოსამართლე ი. ჰყონია.

## მუსიკა

### სასულიერო კონცერტი.

ჩვენ ღარიბ სამუსიკო ლიტერატურას მოემატა ახალი თხზულება მუსიკა კომპოზიტორ დ. არაყიშვილისა, რომელიც განსაკუთრებით სასულიერო გალობას შეეხება. მეტად საინტერესო და საყურადღებოა ეს ახალი მუსიკა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ახლო მომავალში მოისმენს. რეპეტიციები უკვე დამთავრდა. მომღერალი გუნდი შესდგება მხოლოდ სპეციალებისაგან და მარტო ერთ კონცერტისათვის არის მოწყობილი.

ქართ. სამუს. საზოგ. გამგეობას და საქველმოქმედო კავშირს მსჯელობა აქვს, თუ რომელ დარბაზში გამართოს ფრიად საყურადღებო სასულიერო კონცერტი, რომ ყველა მსურველს ღონისძიება მიეცეს დაესწროს ამ ერთად ერთ კონცერტს.

## უცხოეთში

(საქართ. დეპ. სააგ.)

**მოსკოვი, აპრ. 28. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი**

**ლიონი, აპრ. 26.** რომიდან მოსული ოფიციალური ცნობები იუწყებიან, რომ მცხოვრებნი ორლანდოს მხარეზე არიან. ფიუმეს საკითხს ისე არჩევენ, როგორც ნამდვილ ეროვნულ საკითხს. რომში ამერიკის და ინგლისის საელჩოს შენობის წინ შეიკრიბა ხალხი და მოაწყეს დემონსტრაცია, რომლის დროსაც ლოიდ ჯორჯს და ვილსონს ცუდათ იხსენიებდენ. ორლანდო ფიქრობს, განსახილველათ საკითხი წარუდგინოს მეფეს, შემდეგ პარლამენტს დაუყენოს საკითხი ნდობის შესახებ.

სონინო და სალანდრა ხვალ პარიზიდან წავლენ. იაპონიის ელჩმა დღეს ორივე ინახულა. ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან იაპონია ამ უკანასკნელ ხანებში აგრეთვე გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას საზავო მოლაპარაკების გამო.

**ნაუენი, აპრ. 27.** გერმანიის ცენ. მთავრობა, რომელმაც საქსონიის რესპუბლიკაში საალყო წესები გამოაცხადა, განმარტავს, რომ ამით საშუალება არ ესპობა ლეიპციგის ბაზარზე მიმსვლელებს და სხვა და სხვა ეკონომიურ კავშირების წევრებს უნებართვოთ მოაწყონ კრებები.

**ვორონეჟი, აპრ. 28.** ზეიმით გაიხსნა ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ფაკულტეტი.

**სამარა, აპრილ. 28.** „კრასნი სტრელოკის" სიტყვით ტიუმენში კოლჩაკელებმა ჩააქრეს 10,000 ჯარში გაწვეულ მუშათა და გლეხთა აჯანყება. აჯანყებულებმა მოასწრეს არსენალის გატეხა, ციხიდან პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლება და მრავალი ოფიცრის მოკვლა. ბუგურუსლანის პოლკის პირველ როტაში კოლჩაკელებმა 30 კაცი დახვრიტეს წითელ ჯარისადმი თანაგრძნობისთვის. ამავე როტაში ჯარისკაცთა თანაგრძნობისთვის დაიჭირეს რამოდენიმე ოფიცერი. თურქესტანის ჯარის შტაბი. სახალხო არმიელების წითელ ჯარში გადმოსვლა გრძელდება. კოლჩაკის მიერ გამოცხადდა მობილიზაცია. მრავალ ადგილას არეულობას იწვევს, რომელსაც თეთრ-გვარდიელები დიდის სიმკაცრით აქრობენ. მრავალი გამოქცეული სამხედრო ტყვე წითელ ჯარში ეწერება. შეკრებილი ჯარი ამბობს, რომ ადგილებზე აძლევდნენ მათ იარაღს. ისინი ამდენ ხანს დაამარცხებდნენ მათ ძალა-უფლებას, მაგრამ გაწვეულ ჯარს იარაღს აძლევენ მხოლოდ ფრონტზე. ისინი ბრძოლიში მიჰყავთ მათრახის ცემით. ყაზახებს სურთ მოიცილონ ოფიცრები და წითელ ჯარში ჩაეწერონ. სახალხო არმიაში გავრცელდა ოფიცერთა ხოცვა. დისციპლინას იცავენ მხოლოდ პარტიზანები, რომელნიც ტყვიის მრფქვევლებით ხვრეტენ მათ, ვისაც წითელ ჯარში ჩაწერის სურვილი აქვს. წითელ ჯარში სულიერი განწყობილება აწეულია. სოფლის მცხოვრებნი თეთრ-გვარდიელებს მტრულად უყურებენ.

**ლიონი, აპრ. 27.** შაბათს სონინო პარიზიდან რომში წავიდა. მტკიცდება, რომ გერმანია სანამ ზავის პირობებს ხელს მოაწერს მოახდენს საყოველთაოდ ხმის მიცემას.

**ბუდაპეშტი. აპრილის 27.** რუმინიის ზოგიერთ ადგილებში რუმინელები განაგრძობენ შეტევას. საზოგადო მდგომარეობა შეიცვალა არსებითათ.

**ნაუენი. აპრილის 27.** მიუნხენში პოლიციის უფროსის ადგილი დაიჭირა მუშა დეტჩინმა, პროფესიით ყოფილმა ზეინკალმა. მიუნხენში ყოველ დღე ჩდებიან ჰაეროპლანები მთავრობის ბანაკებიდან, რომლიდანაც ჰყრიან გოფმანის მთავრობის გაზეთებს და ფურცლებს.

**ლიონი. აპრილის 27.** რომში ამერიკელ საელჩოს წინ დაყენებულია ჯარი, აღელვებულ ხალხისაგან შენობის დასაცავათ. რომიდან ამერიკელი ელჩი იუწყება, დემონსტრაციისა და სატახტო ქალაქის მცხოვრებთა აღელვების შესახებ.

**ნაუენი. აპრილის 28.** შაბათს ამსტერდამში გაიხსნა საერთაშორისო უფლების სოციალისტური კონფერენცია, ბრანტინგის თავმჯდომარეობით. კონფერენციის პროგრამა შემდეგი მუხლებისაგან შესდგება: ტერიტორიალური საკითხები, 2) ინტერნაციონალის განახლება და მოსკოვის მანიფესტი, 3) მუშათა პრესის განვითარება, 4) ლიუცერნის-საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომლის მოწვევას მარიამობისთვეში ფიქრობენ და მე 5) პროლეტარული ზავი. ინგლისიდან მოვიდა ჰენდერსონი და ბოტა. საფრანგეთიდან რენოდელი და ლონგე. დამოუკიდებელთა დეპუტატმა ჰააზემ და გერმანულ ავსტრიის დეპუტატთა ზეილიგერმა მიიღო წასვლის ნებართვა.

**ლიონი, აპრილის 27.** ოთხთა საბჭოს უკანასკნელ თათბირზე იტალიამ წინადადება წამოაყენა, ფიუმე ხალხთა ლიგას განკარგულებაში გადასცენ. მართველობის მანდატი შეიძლება გადაეცეს იტალიას ვადის აღუნიშნელათ. ამას გარდა იტალიას უნდა გადაეცეს ადრიატიკის ზღვაში ზოგიერთი კუნძულები და დალმაციის ნაპირები.

**ნაუენი, აპრილის 28.** როზა ლიუქსენბურგის და ლიპკნეხტის მკვლელობაში მონაწილეთა გასამართლება დანიშნულია 8 მაისს მონბიტში სისხლის სამართლის დიდ დარბაზში. დასწრება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ ნებართვით. საქმე გაგრძელდება არა ნაკლებ სამი დღისა.

**ბუდაპეშტი, აპრილის 27.** უნგრეთში კაპიტალისტებისაგან მოეწველობის ჩამორთმევა და პროლეტარიატის ხელში გადაცემამ სრული წესრიგით ჩაიარა. საქარხნო კომიტეტებმა დაიწყეს წარმოების მართველობა. რომ შეუწყვეტელი მუშაობა უზრუნველყოფილ იყოს წვრილ სამრეწველოებს შეავიწროებენ, რის საშუალებითაც მიაღწევენ სათბობი მასალის ეკონომიას. გაუქმებულია ყოველგვარი სამრეწველო უპირატესობა. გააუქმეს პატენტები, რომელიც მუშათა კლასის მოწინააღმდეგეა პირდაპირ. დირექტორები დაითხოვეს, დანარჩენები კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. ტეხნიკურ პერსონალს საბოტაჟობა არ ეტყობა, როგორც ეს იყო რუსეთში არამედ თანაგრძნობაც კია პროლეტარიატის საქმეებში.

### გერმანული პრესა.

ხალხთა ლიგის გერმანულ პროექტის შესახებ კოპენჰაგენის გაზ. „სოც დემოკრატენ" სწერს: „ხალხთა ლიგის მოკავშირეთა პროექტან შედარებით გერმანიის პროექტს მნიშვნელოვანი უპირატესობანი აქვს, თუ კი რასაკვირველია ხალხთა ლიგას მიზნათ აქვს საერთოთ ვილსონის პროგრამის განხორციელება და მომავალში ომის შესაძლებლობის თავიდან აცილება.

საფრანგეთის მთავრობამ გაგზავნა სია აპრილის 27 ვერსალში მიმავალ გერმანიის საზავო დელეგაციის წევრებისა. გარდა 6 დელეგატისა: გრაფ რანცაუსი, დ-რი გისბერგისა, ეროვნულ პარლამენტის თავმჯდომარის ლეინერტისა პროფესორ ინკლინგისა და დ-რ მელხიორისა, სიაში შედიან აგრეთვე: საგარეო ნაწილის დირექტორი ფონ სტოკჰამერნი და სინონსი, როგორც გენერალური კომისიები, საგარეო ნაწილის სხვა წევრები და სხვა სამინისტროთა წარმომადგენლები, როგორც ოფიციალური კომისარები. ამათ გარდა შედიან აგრეთვე ექსპერტები ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებში და დროებითი ზავის გერმანიის კომისიის წევრები. დელეგაციას თან მიჰყვებიან საჭირო ტეხნიკური და საკანცელარიო შტატები და აგრეთვე ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელნი და გერმანული პრესის 15 წარმომადგენელი მათი მდივნებით.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგი" სწერს: „მოკავშირეთა მუქარას, რომ ისინი განაგრძობენ გერმანიის ტერიტორიის ოკუპაციას და შესწყვეტენ სურსათის მიწოდებას, თუ გერმანელებმა ზავი არ მიიღეს, დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. მოწინაალმდეგის არმიებს შეუძლიათ დაიპყრონ რეინის და ვესტფალის სამრეწველო ოლქები და გერმანიის მაღაროები. მიუხედავათ ამისა გერმანიას არ უნდა შეეშინდეს ასეთი მუქარისა საზავო ხელშეკრულების საკითხში. მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას ის, თუ ზავის შეკვრას ჩვენი დამონება ხომ არ მოჰყვება, თორემ ეს უფრო ცუდი იქნებოდა და იქნება ზავის უარყოფა უფრო ადვილათ ასატანი უბედურება გამოდგეს. საფრანგეთი საქციელი დაპყრობილ ოლქებში ააშკარავებს მის დაპყრობით განზრახვებს. მიუხედავათ ხალხთა ლიგის შექმნისა, რჩება უძლიერესი პოლიტიკური კავშირები, რომლებიც გერმანიის წინაალმდეგ მიმართულია.

ასეთი მუქარა ვერ აიძულებს გერმანიას, რომ ვისმეს დანებდეს გასაძარცვავათ. იგი ვერსალში დაიცავს თავის არსებობის უფლებას და კაცობრიობის ინტერესები მოითხოვს, რომ შეკრას სამართლიანი ზავი, რომელსაც მხოლოთ პარიზის მარით მოელის საფრთხე.

## ქუთაისი.

○ დამ. კრების წევრები გ. ფაღავა, რუბენ ყიფიანი, ადმინისტრაციის ინსპექტორი ს. გეგელაშვილი და ლეჩხუმის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე ალ. მითაიშვილი გუშინ დილით გაემგზავრენ ლეჩხუმს, რათა ადგილობრივათ გამოიძიონ და შეაგროვონ მასალები ლეჩხუმის მაზრაში ადმინისტრაციის მიერ ჩადენილ უწესოების შესახებ.

○ ქალების პირველ გიმნაზიაში თავის წარმომადგენლათ ქუთაისის საბჭომ აირჩია ხმოსანი კონსტანტინე სულაქველიძე.

○ ქუთაისის ქალაქის მოურავის (თავის) ამხანაგმა სერგო რობაქიძემ დაათვალიერა ქალაქის ყველა სამილიციო უბნები და ქალაქის სამილიციო სადარაჯოები. რობაქიძემ წინადადება მისცა ყველა სამილიციო უბნის სამმართველოებს აუცილებლათ, მოუშორებლათ ყოველ ჟამს მორიგე მილიციონერები სადარაჯოებზე იდგნენ და თვალყური ადევნონ ქალაქში წესიერების დაცვას.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ ყოფილ გუბერნიის კომისარის დეპეშის პასუხათ კანცელარია გაცნობებთ, რომ როგორც განათლების სამინისტროს მომართვიდან სჩანს, ის არაა წინააღმდეგი და ბ-უნონ ბათომის გიმნაზიის უმაღლეს პირველ დაწყებითი და სახელოსნო სასწავლებლების საბუთები და ის საქმები, რომელნიც ეხება ბათომის სამოსწ. ინსპექციას

○ შინაგან საქმეთა მინისტრი ატყობინებს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს: გაეცით განკარგულება ქალაქის მილიციის უფროსისადმი, რათა ამ უკანასკნელმა აძლიოს მოწმობები საზღვარ გარეთ გამსვლელთ არსებულ წესების თანახმათ: თხოვნებზე ორი მანეთის მარკების დაკვრით და ათი მანეთის საკანცელარიო გადასახადის გადახდევინებით.

○ 1 9 და 16 აპრილს გაძარცვეს ბაღდათში მიმავალი დელეჟნები. ამის გამო მაზრის კომისარმა ახვლედიანმა დააპატიმრა შემდეგი ავაზაკები: სოფ. ნაგარევის მცხოვრები გიორგი დიმიტრის ძე ნეფსაძე, სოფ. გოდოგანის მცხოვრები გრიგოლ სიმონს ძე გაბრიჭიძე და გერონტი თომას ძე კანდელაკი და ქუთაისის შუამთა უბნის კომისარიატის მილიციონერი სილოვან მანუჩარის ძე მარგველაშვილი. უკანასკნელნი გამოტყდნენ დანაშაულობაში. მათ აღმოაჩდათ შემდეგი ნაძარცვი ნივთები და იარაღი: გრიგოლ გაბრიჭიძეს—ერთი ტყავის პორტმანი, ბრაუნენის რევოლვერი, ერთი ნაბადი, ერთი წყვილი ჩექმა და 500 მან. გერონტი კანდელაკს ერთი წყვილი ჩექმა, ერთი პორტმანე, ოქროს საათი ძეწკვით და ერთი ნაბადი. გიორგი ნეფსაძეს ერთი ტყავის პორტმანე, აღმოჩენილ ნივთებში: ოქროს საათი, რევოლვერი, პორტმანე და ერთი წყვილი ჩექმა აღმოჩდა ბაღდათის საერობო სამკურნალოს ექიმ კვიჟინაძისა, რომელსაც დაუბრუნდა ხსენებული ნივთები. დანარჩენი ნივთები გადაეცა ქუთაისის მაზრის გამომძიებელს. ნივთების პატრონთ შეუძლიათ მიაკითხონ გამომძიებელს, საიდანაც მიიღებენ თავიანთ ნივთებს. დამნაშავენი გაიგზავნენ საგუბერნიო ციხეში.

## ქრონიკა

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს ( როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე, საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს), რომ 23 მაისს, ქ. ტფილისში შესდგება კოოპერატიული ყრილობა საქართველოს კოოპერატივებისა და 25 მაისს, ქ. ტფილისშივე შესდგება ამიერ-კავკასიის (საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა.

ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში, პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექ. № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

წარმომადგენლები ყრილობაზე უნდა გამოიგზავნონ შემდეგი წესით: კოოპერატივი, რომელშიაც ჩაწერილია 5000-მდე წევრი გზავნის 1 წარმომადგენელს, 5000—10000-დე წევრიანი 2 წარმ., 10.000 ზე მეტი წევრიანი—3 წარმ. კოოპ. კავშირები, რომლებშიაც ჩაწერილია 15-დე კოოპერატივი. გზავნიან 1 წარმ., 15—30-მდე—2 წარ. და 30-ზე მეტი—3 წარმომ.

დაწვრილებითი მოწოდება, [illegible] და სხვა მასალები გეგზავნება [illegible] კოოპერატივებს და შეიძლება მიღ[illegible] [illegible]რ-კავკასიის კოპერატივთა კავშირშ., პლეხანოვის (მიხეილის) პროს. № 178, აქვე უნდა მიმართონ ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა.

○ სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე ალ. ხატისოვი ტფილისში სომეხთა დიპლომატიურ მისიას დეპეშით აუწყებს: ჩვენმა ჯარმა ყარსი დაიჭირა, ადმინისტრაცია განაწილებულია ოლქების მიხედვით. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში სდგება. ლტოლვილნი ბრუნდებიან.

○ 28 აპრილს, ანდრეევის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს პ. ასტაპოვი.

○ 28 აპრილს, საღამოს მუხრანის ხიდთან სადარაჯოზე მდგომ მილიციონერს ს. ჭეიშვილს თავს დაესხა რამდენიმე ბოროტ-მოქმედი და დასჭრეს იგი. ბოროტ მოქმედებმა გაქცევა განიზრახეს, მაგრამ მათ მილიციონერებმა სროლა აუტეხეს და ერთი მათგანი მ. ჩობანიანი მოჰკლეს. სროლის დროს დაიჭრა მილიციონერი დავლიანიძე.

○ 28 აპრილს საღამოს მორამაშის ქუჩაზე იაკუბოვის ბინიდან ქურდებმა 11000 მანეთის ფული და ნივთები მოიპარეს.

○ სავაჭრო სასურსათო ზედამხედველმა ოქმი შეუდგინა ვინმე ნ. ანტონოვს, რომელიც უვარგისს ხორცს ჰყიდდა.

○ დღეს, დილის 10 საათზე, სასახლეში შესდგება კრება, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ დამფუძნებელ კრების საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრები ქალაქებისა და საერობო თვითმართველობათა წარმომადგენელნი. კრების საგანია საქართველოს ადმინისტრატიულათ გადამიჯვნის საკითხი.

---

### განცხადებანი

---

1918 წლის დეკემბრის 23-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარგარიტა ივანეს ასულმა მელქონიანმა 40000 მან. მიჰყიდა ივანე გიორგის ძე ტერტეროვს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში, ორლოვის ქუჩაზე, ქალაქის № 548, ზომით 81 ოთხ. ს. 6 ოთხკ. არშინი და 243 ოთხ. ვერ.

გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების—1 მ. 50 კ., სიმტკიცის 1600 მ. მთავარი ამონაწერი 200 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 160 1—1

---

1918 წლის ნოემბრის 30-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიხეილ პავლეს ძე სმირნოვმა 5000 მან. მიჰყიდა ისაკ ზაქარიას ძე ტრაიპაძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. მიხაილოვში, ზომით: სიგძ. 6 ს., სიგანით აღმოსავლეთით 9,80 ს., დასავლეთით 8,80 ს.

გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 200 მ. მთავარი ამონაწერი 200 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 145 1—1

1918 წლის ნოემბრის 21-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოგანეზ სარიბეგის ძე მანილოვმა 35000 მან. მიჰყიდა სპარსეთის ქვეშევრდომს ყაზარ ბადალოვს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ტფილისში მე 8 უბანში ამატუნის შეს. და ამატუნის ქუჩის კუთხეში. ქალაქის № 353, ზომით 100 ოთხკ. საჟ.

გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 1400 მ. მთავარი ამონაწერი 175 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 159 1—1

---

1918 წლის ნოემბრის 29-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დომენტი ივანეს ძე ბეკლაშვილმა 6000 მ. მიჰყიდა დავით პავლეს ძე ღლონტს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ტფილისში, 1 უბანში, ქალაქის № 469, ზომით 45 ოთხკ. ს.

გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 240 მ. მთავარი ამონაწერი 30 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 142 1—1

---

1918 წლის ნოემბრის 30-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ონისიმე ნიკოლოზის ძე ჯავახიძემ 10000 მ. მიჰყიდა ვალერიან ვაშაკიძეს და მიტროფანე ნიკურაძეს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქალაქ ტფილისში მე 12 უბანში. ქალაქის № 80, ზომით $104^{14}/_{100}$ ოთხკ. საჟ. გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 400 მ.

მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

143 1—1

---

1918 წლის ნოემბრის 29-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ბარბარე აბრამის ასულმა პეტროსიანმა, ტიგრან, გარეგინ და გრიგოლ ტომასის ძე როსტომოვებმა და ევა ტომასის ასულმა ეგიანცმა 7000 მან. მიჰყიდა ეკატერინე ალექსანდრეს ასულ აკოფოვას მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში წინათ მე 7 და ეხლა მე 8 უბანში, ლაზარეს ქუჩაზე. ქალაქის № 789, ზომით 33,76 ოთხკ. საჟ.

გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების— 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 280 მ. მთავარი ამონაწერი 35 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 144 1—1

---

ქუთაისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა განცხადება რაჭის მაზრის, სოფ. მეორე ტოლის მცხოვრებმა მარინე ერმანის ასულმა გაიდუკისამ, რომ მისი ქმარი მოსიარულე მხატვარი იაკობ კაზიმირის ძე დემაზარტ გაიდუკი თორმეტი წლის წინათ უკვალოდ დაიკარგა, ამიტომ ის თხოულობს მისგან განქორწინებას; ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ იაკობ გაიდუკის მისამართი ვალდებულია, არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ექვსი თვის განმავლობაში.

739 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მარტის 31-ს დამტკიცებულია, იმავე წლის მარტის 25-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე ოტიას ასულმა ქოჩაკიძემ 80000 მ. მიჰყიდა აქვსენტი ოტიას ძე ქვანიას და ალექსი ივანეს ძე კოკაიას მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ახალ-სენაკში, ზომით 25 ოთ. საჟ.

სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 3200 მან. მთავარი ამონაწერი 400 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია იმავე წლის მარტის 31-ს.

662 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 1-ს დამტკიცებულია, 1918 წ. დეკემბრის 13-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე მიხეილის ძე რუხაძემ 10.000 მან. მიჰყიდა მიხეილ დავითის ძე ლორთქიფანიძეს და არხიპ ნიკოლოზის ძე არჩაიას მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ოსპიტალის ქუჩის შესახვევში, ზომით 108 ოთხკ. საჟ.

სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 780 მ. მთავარი ამონაწერი 100 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე დამტკიცებულია 1919 წ. აპრილის 1-ს.

663 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 1-ს დამტკიცებულია, 1918 წ. ნოემბრის 29-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა სევერიანის ასულმა თუმანოვმა 3000 მან. მიჰყიდა ზაქარია გიორგის ძე დოლიძეს მიწის ნაჭერი ქ. ქუთაისში, სალორიის აგარაკში, ზომით 87 ოთხკ. საჟ.

სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 120 მ. მთავარი ამონაწერი 15 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 1-ს. 664 1—1

---

დავკარგე სამტრედიას შუა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული მეტრიკული მოწმობა. მპოვნელს ვთხოვ მომაწვდინოს შემდეგი მისამართით: ტფილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, მელქისედეგ დიმიტრის ძე ბოჭოიძეს.

551 3—1

---

ქუთაისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში დროებით მცხოვრებმა ქ. ჭიათურაში სტეფანე გრიგოლის ძე ვოეიკოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი პელაგია ანდრია სიმაკოვის ასული ვოეიკოვა ათი წლის წინად უკვალოდ დაიკარგა, რის გამო ის თხოულობს მისგან განქორწინებას; ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ პელაგია ვოეკოვას მისამართი ვალდებულია არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ექვსი თვის განმავლობაში. 738 4—1

---

სოფ. ძლევის-ჯვარის, გორ. მაზ. მცხოვრები ანნა დიმიტრის ასული მელაძე-ლაშქარიშვილისა აცხადებს, რომ რწმუნების ქაღალდი, მიცემული მის მიერ ზუნა (ზურაბ) მელაძეზე გაუყოფელ მამულის საუფლოდ ზემოთ აღნიშნულ სოფელში, ხსენებულ ზუნა მელაძის სიკვდილის გამო, გაუქმებულია. რწმუნების ქაღალდი შემოწმებულია ქ. ტფილისის ნოტარიუს წინამძღვარიშვილის მიერ 1914 წ. აპრილის 18, რეესტრი № 3327. მამულის მფლობელათ ანნა დიმიტრის ასული მელაძე-ლაშქარიშვილისა ითვლება. 548 3—3

---

ლეჩხუმის მაზრის კომისარიატი ამით ა-აცხადებს, რომ პენსიონერმა ფერშალმა ანდრია კოძოევმა დაჰკარგა პენსიის წიგნაკი № 15, 1918 და 1919 წლებში ხაზინიდან პენსიის მიღებისა, მნახველთ ვსთხოვთ წარმოადგინონ ლეჩხუმის მაზრის კომისარიატში. 746 3—3

---

დაკარგულია უვადო პასპორტი № 1084, მიღებული მიხეილ იოსების ძე რადკევიჩის სახელზე ცოლით და სამი ბავშვით 1907 წ. მაისის 18. მპოვნელს სთხოვს მოუტანოს მიხეილის პროსპ. № 132, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ითვლება. 545 3—2

---

თინათინ ივანეს ასული გედევანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 2 პასპორტი, ერთი დედის, მარიამ დავითის ასულ გედევანიშვილისა და ერთიც თავისი, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

---

სედრაკ სტეფანეს ძე შუბაშიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 1816, მიღებული ტფილისის მეშჩანთა სამართველოდან 1916 წ. აგვისტოს ოცს. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 543 3—2

---

დებს, რომ დაკარგულია ნასყიდობის სიგელი მისი დედის მარიამ ალექსანდრეს ასულის პოდტიაგინას სახელზე, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1891 წ. მაისის 13-ს რეესტრი № 686, იმ მამულზე, რომელიც უანდერძა მან ლიუდმილა ბრედოს. მამული მდებარეობს ქ ტფილისის მე-6 უბ., კუტილოვსკის ქუჩაზე. სიგელი გაუქმებულათ ითვლება. 503 3—2

---

ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 22-ს დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ ივანეს ძე გომელრეიხმა 110.000 მ. მიჰყიდა მიხეილ პავლის ძე ვოსკანოვს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 400 ოთ. საჟ. მდებარე ქ. ტფილისის მე-7 უბ. ქალ. № 992. გადახდილია: საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 4.400 მ. მთავარი ამონაწერი 550 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 155 1—2

---

სტეფანე გრიგოლის ძე ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 542 3—2

---

ქრისტინე ალექსის ასული ლანკინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 654, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

546 3—2

---

პარასკევა ოლიმპის ასული ივანენკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული მდაბიო მოქალაქეთა სამართველოდან 27 აგვ. 1913 წ. № 1794 და პურის უფასოდ მისაღები ბარათი მიღებული ექიმ დოროფეევისაგან № 1404, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 737 3—2

---

# კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა

პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროთი.

**ტფილისიდან—მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16
ტფილისიდან გადის დილის 7 ს.
მელაანში მიდის 12 . 50 წ.

საგარაკო მატარ. № 15
მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1—40 წ.

**ტფილისიდან—თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4 ტფილისიდან გადის დილის 10 ს. თელავში მიდის 7 ს. 35 წ.

**თელავიდან ტფილისამდე.**

საფოსტო მატ. № 3 თელავიდან გამოდის დილის 9 ს. 30 წ. მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის ტფილისში სალამოს 7 ს. 15 წითზე.

**გურჯაანიდან წნორის—წყლამდე.**

მატარებ. № 6 გურჯაანიდან გადის სალამოს 6 ს. წნორის—წყალში მიდის 7 ს.

**წნორის—წყლიდან—გურჯაანამდე.**

მატარ. № 5 წნორის—წყლიდან გამოდის დილის 9 ს. 50 წ. გურჯაანში მიდის 11 ს.

752 2—2

---

# ამონაწერი

## თამბაქოს ქარხნის „მირ“-ის აქციონერთა საზოგადოების 1918 წ. ოპერაციული წლის ანგარიშიდან.

### 1918 წ. მოგებისა და წაგების ანგარიში

**კრედიტი**

| | |
|---|---|
| მოგება დამზადებულ ნაწარმოების გაყიდვიდან | 582.320 მ. 93 კ. |
| ხაზინაში მეტათ შეტანილი გადასახადი 1917 წ., მიღებული უკანვე | 48.071 „ 08 „ |
| 1917 წ. წმინდა მოგების კვირეული დარჩენილი | 52. „ 86 „ |
| ჯამი | 630.444 „ 87 „ |

**დებეტი**

| | |
|---|---|
| გადახდილი %% მიღებულის გამოკლებით | 299.020 „ 24 „ |
| საერთო ხარჯი | 169.847 „ 49 „ |
| უძრავ ქონებაზე ხარჯი | 3.452 „ 02 „ |
| გადმოწერილია 5% დასაფარავათ უძრავ ქონების ღირებულებიდან | 13.098 „ 64 „ |
| გადმოწერილია 10% დასაფარავათ მანქანებისა და მოძრავ ქონების ღირებულებიდან | 32.543 „ 88 „ |
| წმინდა მოგება 1918 წ. | 112.482 „ 60 „ |
| ჯამი | 630.444 „ 87 „ |

**ბალანსი**

**აქტივი**

| | |
|---|---|
| კასა | 119.993 „ 19 „ |
| სარგებლიანი ქაღალდები, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის | 259.333 „ 33 „ |
| სარგებლ. ქაღალდ., მიღებული ურთიერთ სესხათ სხვისგან და წარდგენილი საქციზო საზოგადოების დეპოზიტში | 450.000 „ — „ |
| მიმდინარე ანგარიშები ბანკებში | 13.411 „ 94 „ |
| სხვა და სხვა დებიტორები და გადასასვლელი თანხები | 221.653 „ 23 „ |
| უძრავი ქონება და ელექტრონის სადგური | 509.180 „ 66 „ |
| მანქანები და მოძრავი ქონება | 292.895 „ — „ |
| ფურცლოვანი თამბაქო, ქაღალდისა და სხვა მასალები | 4.364.918 „ 76 „ |
| ბანდეროლები | 27.430 „ — „ |
| თამბაქოს ნაწარმოები | 1.355.975 „ 02 „ |
| უკან დასაბრუნებელი ხარჯები | 140.796 „ 31 „ |
| ჯამი | 7.755.587 „ 44 „ |

**პასივი**

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 2.500.000 „ — „ |
| სათადარიგო „ | 105.769 „ 27 „ |
| დაფარვის „ | 182.452 „ 37 „ |
| სხვა და სხვა კრედიტორები და გადასასვლელი თანხა | 562.748 „ 35 „ |
| გაცემული თამასუქები | 400 „ — „ |
| სპეციალური მიმდინარე ანგარიშები ბანკებში | 3.251.363 „ 23 „ |
| კრედიტორები სარგებლიან ქაღალდებით, მიღებული სესხათ ტფილ. ხაზინაში წარსადგენათ საქციზო სამმართველოს დეპოზიტში | 450.000 „ — „ |
| ვალი ამიერ-კავკასიის საქციზო სამმართველოს | 586.148 „ — „ |
| 5% სახელმწიფო გადასახადი | 4.223 „ 62 „ |
| 1918 წ. წმინდა მოგება | 112.482 „ 60 „ |
| ჯამი | 7.755.587 „ 44 „ |

# ამონაწერი

## ბ. აქციონერთა ჩვეულებრივ საზოგადო კრების ოქმიდან.

1919 წ. მარტის 16.

საზოგადო კრებაზე წარმოადგინა აქციები 10 აქციონერმა, რომელთაც ჰქონდათ 264 ხმა. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ა. ე. ბალდასაროვი და მდივნათ მ. გ. ლალაიანცი.

კრებამ მოისმინა ანგარიში და სარევიზიო კომისიის ოქმი და ერთხმათ დაადგინა: დამტკიცდეს საზოგადოების 1918 წ. ანგარიში. წმინდა მოგებიდან 112482 მ. 60 კ. 5% სათადარიგო თანხაში გადარიცხვით 5624 მ. 13 კ., მიეცეს დივიდენდათ ბ. აქციონერებს 100.000 მ., რაც შეადგენს 6%-ს ტრიალში მყოფ ძირითად თანხაზე ე. ი. 15 მ. პირველ გამოცემის 250 მ. აქციაზე, 6 მან. მეორე გამოცემის 100 მ. აქციაზე და 1 მ. მესამე გამოცემის 100 მ. აქციაზე.

გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა—2.667,900 მ. აგრეთვე დამტკიცებულია საზოგადო კრების მიერ.

საზოგადო კრების მიერ შეცვლილია საზოგადოების წესდების მე-21 §, დირექტორების რიცხვის გადიდების შესახებ სამიდან ოთხამდე კრებამ დაავალა გამგეობას აღძრას სათანადო შუამდგომლობა ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში.

ბოლოს მოხდა არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, ვ. ო. ტერ-ზახაროვის მაგიერ, რომელმაც რიგით თანამდებობა დასტოვა, ერთი კანდიდატის გამგეობის წევრისა, ახალი მეოთხე დირექტორისა, საზოგადოების წესდების შეცვლილ მე-21 §-ის თანახმათ და სარევიზიო კომისიის ოთხი წევრისა.

კრებამ ერთხმათ აირჩია: გამგეობის წევრათ ვ. ო. ტერ-ზახაროვი, სამი წლის ვადით, გამგეობის წევრის კანდიდატათ ს. გ. ბალდასაროვი, მეორე დირექტორათ ა. ნ. მილოვი და სარევიზიო კომისიის წევრებათ: მ. გ. ლალაიანცი, ა. ნ. საფარიანი, ს. ა. შავერდოვი და რ. ვ. ავანიანცი.

გამგეობის თავმჯდომარე ა. ბალდასაროვი.

გამგეობის წევრნი: ვ. ტერ-ზახაროვი, ა. მილოვი ს. კარაპეტიანცი. 750 1—1

რედაქტორი ბ. ღ. ხეყვარელიძე

სტამბა საქართველოს მთავრობისა.